ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი #11

ქ. ცაგერი 24 ივნისი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:
რეზო ხეცურიანი
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
გიორგი გუგავა, ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:
დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, მამუკა მამარდაშვილი, ოთარი თვარაძე, მამუკა ჩიქოვანი,
ვიქტორ ცხვედიანი, ნატო ბურჯალიანი, ბესიკი ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე: გოგიტა ახვლედიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, თამაზ თვარაძე,
თინათინი ნემსწვერიძე, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი,
ჯონი ხალიანი, ხვიჩა ჩხეტიანი, კახა ყურაშვილი;

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
ქეთევან კოპალიანი
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის
უფროსი: გიორგი კვირიკაშვილი
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:
სოფიო გვიშიანი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი:
იამზე ბურჯალიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 მარტის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

5. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

4. ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი, ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 მარტის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

5. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. მხმელიძე/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

4. ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი, ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების ფორმირების და ხაზინის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო კოპალიანმა, 2026 წლის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების შეტანის საფუძველია„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 მაისის #2260-3 განკარგულება (2025 წლის 29 დეკემბრის #2260 განკარგულების ცვლილება). განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 40822(ორმოციათასრვაასოცდაორი) ლარისა, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში :

- **ზოგადსაგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა „ორგ. კოდი 04 05“ - 40822 (**ორმოციათასრვაასოცდაორი**) ლარი.** აღნიშნული თანხით მოხხმარდება საჯარო სკოლების ოპერირების და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარებას.

ასევე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 მაისის #994 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“. განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 580955 (ხუთასოთხმოციათას ცხრაასორმოცდათხუთმეტი) ლარისა, რომელიც განკუთვნილია მუნიციპალიტეტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების "ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" შესრულების მიზნით, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში :

- **ზოგადსაგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა „ორგ. კოდი 04 05“ -**

580955 (ხუთასოთხმოციათასცხრაასოროცდათხუთმეტი) **ლარი.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების შეტანა დაკავშირებულია რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან. მუნიციპალიტეტის მერიაში დაფიქსირებულია ა(ა)იპ „ესთეთიკური აღზრდის ცენტრის“ დირექტორის წერილი ქორეოგრაფიული ანსამბლის“ლეჩხუმის“ 45 წლის იუბილის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რასაც თან ახლავს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2026 წლის ბიუჯეტში ჩაგეგმილი ჰქონდა თანხა მაღალი გამავლობის სპეც,მანქანის(ამწე კალათა) შესყიდვა. სსიპ- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 30 დეკემბრის #78 ბრძანებით - „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2026 წლის 1 იანვრიდან , ბაზრის კვლევის შედეგებით აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი მანქანის შესაძენად და საჭიროებს დამატებით თანხას. ასევე დამატებითი თანხებია საჭირო ტრანსპორტის სუბსიდირების პროგრამაში, კერძოდ, მსოფლიოში განვითარებული მოვლენების შედეგად გაიზარდა საწვავის ფასი, რამაც შესაბამისად პრობლემა შეუქმნა ამ პროგრამის განხორციელებას. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაის შედგენა. ამიტომ აღნიშნული პროგრამა ამ ეტაპზე საჭიროებს გაზრდას. მერიამ მიმდინარე დონეზე შეისწავლა ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების კუთხით. დაკონკრეტდა დამატებით გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა და განისაზღვრა დამატებით საჭირო ფინანსური რესურსების საორიენტაციო რაოდენობა. ინფორმაციას წარმოგიდგენთ პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით:

05 00 - კულტურის, სპორტის და განათლების განვითარება:

05 02 კულტურული ღონისძიებები

- ა(ა)იპ „ესთეთიკური აღზრდის ცენტრის“ სუბსიდირება - 6800ლარი.
  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 6800 ლარი.

02 00 - ინფრასტრუქტურის განვითარება:

02 06 პროექტირების და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება.

- საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 20000ლარი.

02 09 მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება

- მგზავრთა გადაყვანა - 25000 ლარი.
  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 45000 ლარი.

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

- მუნიციპალიტეტის მერია - 40000ლარი.
  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 40000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით ჩასატარებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით განიხილა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების და გადასახდელების კუთხით. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემოსავლების გაზრდა არარეალურია, ამასთან ერთად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არაა იმ მოცულობის, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი ღონისძიება განვახორციელოთ. მიმდინარე ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩია გაანალიზდეს ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით და შესაძლო ეკონომიები გადანაწილდეს ახალი საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ,

შემცირდეს:

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (ორგ.კოდი 05 02 06) – 6800 ლარით,
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ფასადები და სკვერები) ორგ.კოდი(02 05 01) – 25000ლარით,
- გარემოს დაცვა და დასუფთავება ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება(ორგ.კოდი 03 03) - 60000ლარით

სულ 91800 ლარი.

გაიზარდოს:

- მუნიციპალიტეტის მერია(არაფინანსური აქტივები) ორგ.კოდი(01 01 02) – 40000 ლარით,
- მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება(ორგ.კოდი 02 09) – 25000 ლარით,
- პროექტირების და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება - 20000 ლარით,
- ა(ა)იპ „ესთეტიკური აღზრდის ცენტრი“ (ორგ კოდი 05 02 11) – 6800 ლარით.
-

სულ 91800 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 621777 ლარით და შეადგენს 28188,1ათ,ლარს.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

საკითხი 2

„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა, აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 134[1] მუხლი, საქართველოს კანონი ,,მაღალმთიან დასახლებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დანტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №587 დადგენილება, რეგიონალური განვითარების სამინისტროს რეკომენდაციები ,,მაღალმთიან დასახლებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მონიტორინგის შესახებ“.

სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავებული იქნა სარეკომენდაციო ინსტრუქცია, რომელიც მიზნად ისახავს სტატუსის მონიტორინგის პროცესის გაუმგობესებასა და უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლო სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრევენციას. ამავე დროს სამინისტრო მონიტორინგის დაგეგმვის ეტაპზე შესამოწმებელ პირთა სიების სწორად ფორმირების მიზნით, მუნიციპალური სერვისების სააგენტოსთან ერთად განიხილავს მუნიციპალური მართვის სისტემაში შესაბამისი ფუნქციონალის დამატების საკითხს, რომელიც უზრუნველყოფს დროის კონკრეტულ მონაკვეთში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აქტიური სტატუსის მქონე პირთა ერთიანი სიის გენერირებას.

აღნიშნული დადგენილების შესრულება არ მოითხოვს განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 3

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 მარტის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 მარტის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში ცვლილება იდენტურია ზემოთ აღნიშნული ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში ცვლილების.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 მარტის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 4

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანის საფუძველია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 25 მაისის № GOV 32600016903 წერილი და ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №6 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლა მითითებული ხარვეზები და კანონის შესაბამისად ცვლილება შევიდა წარმოდგენილ დადგენილების პროექტში.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 5

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში 2025 წლის2 ივნისსშეტანილი ცვლილება, სადაც ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსს დაემატა 103^1 და 103^2 მუხლები, ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 1 ივლისიდან.
აღნიშნულმა გამოიწვია ცვლილების შეტანის აუცილებლობა ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილების მე-2-ე მუხლში, სადაც 103^1 - 103^2 მუხლებით განსაზღვრულ სამართალდაღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმის შემდგენ პირად განისაზღვრა მერიის ზედამხედველობის სამსახური.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 6

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არის ამორტიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. მათი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამართვა და რეაბილიტაცია დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან, რაც მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელია. აღნიშნული ტექნიკა შეფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 05 მაისის №003635226 დასკვნით. ესენია:

1. **NISSAN XTERRA** – სახელმწიფო ნომრით: QQ-737-UU
2. **LAND CRUISER** – სახელმწიფო ნომრით: WWQ-430

ასევე, მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს **10 (ათი) ცალი მეორადი ბეტონის ღრუტანიანი ფილა**, რომლის საბაზრო ღირებულებაც, კანონმდებლობის შესაბამისად, შეფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 05 მაისის №003635326 დასკვნით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის სახსრების რაციონალურად განკარგვის მიზნით, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების რეალიზაცია (გაყიდვა) ელექტრონული აუქციონის წესით.

ვინაიდან ავტომობილი **LAND CRUISER** (სახელმწიფო ნომრით WWQ-430) უკვე შეტანილია დამტკიცებულ საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში, გთხოვთ საკრებულოს, მოახდინოთ აღნიშნული ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასის კორექტირება წარმოდგენილი ახალი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

რაც შეეხება დანარჩენ ქონებებს, კერძოდ: ავტომობილს **NISSAN XTERRA** (სახელმწიფო ნომრით QQ-737-UU) და **10 (ათი) ცალ მეორად ბეტონის ღრუტანიან ფილას**, გვესაჭიროება მათი შეტანა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, აგრეთვე საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში (თანდართული დანართების მიხედვით).

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 7

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში ცვლილება გამოწვეულია ზემოთ აღნიშნულ განკარგულებაში - 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ცვლილებამ.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 8

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოფიო გვიშიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული განკარულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოზადდა შემდეგი საპროექტო წინადადებები, რომლის განხორციელება იგეგმება 2026-2027 წლისთვის:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით (ღვინის გზა) სოფ. ტვიშის პირველ უბანში გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

2. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით (ღვინის გზა) სოფ. ტვიშის მეორე უბანში გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

3. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სოფელ ჩხუტელში ,,ლომის წყლიდან“ კვირკაშვილების მიმართულებით გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

4. ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიზნით სოფელ ლარჩვალში გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩქუმის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, განსახორციელებელ პროექტებზე მომზადებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

განკარგულების პროექტის მიღებით მოგვარდება სოფლის წინაშე არსებული პრობლემები, რომელიც მიმართულია შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობაზე, შესაბამისად მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის იერსახე, გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.**

საკითხი 9

,,ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გიორგი კვირიკაშვილმა /ინფორმაცია თან ერთვის/.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **„ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

საკითხი 10

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი